დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება №80

ქ. დედოფლისწყარო,
კოსტავას ქ.№42
ტელ. 825625534
www.dedoplistskaro. ge

ქ. დედოფლისწყარო **30.12. 2010 წელი**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის ატესტაციის გამოცხადების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, "საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულების შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის გამოცხადდეს ატესტაცია.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და ეცნობოს ატესტაციას დაქვემდებარებულ ყველა მოხელეს.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, კიკვიძის ქ.№2) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ბაღაშვილი**